ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #01/028-19
რეგისტრაციის ნომერი SMP190001218

ქ. თბილისი 05 მარტი 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ,,იუსტიციის უმაღლესი სკოლა“, მისი დირექტორის ვანო ბოლქვაძის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“), და მეორე მხრივ, სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“ გენერალური დირექტორის კახაბერ დიასამიძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) ავტოტრანსპორტის დაზღვევის მომსახურების **(CPV66514110)** შესყიდვა ამ ხელშეკრულების პირობების და მისი დანართების - დანართი #1, დანართი #2-ის (სადაზღვევო პირობები - დაზღვევის მარეგულირებელი წესების ერთობლიობა, რომელიც არ უნდა შეიცავდეს დანართი N1-ის პირობების გამაუარესებელ საწინააღმდეგო ან გამომრიცხავ პირობებს) შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.2 შესყიდვის წყარო: 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.
1.3 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ, აგრეთვე ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1090.23 (ათას ოთხმოცდაათი ლარი და ოცდასამი თეთრი)** ლარს, მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული (მომსახურების გაწევის პერიოდის შესაბამისად) შესყიდვის ობიექტის მიხედვით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 ხელშეკრულების ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 07 მარტიდან - 2019 წლის 07 მაისის 24:00 საათამდე.
3.2 მიწოდების ადგილია: საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის სახელმწიფოების სრული ტერიტორია.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით საგადასახადო დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარდგენის და დადასტურების ან/და შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის” მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორის უფროსი ნიკოლოზ ბუაჩიძე.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანაგარიშსწორებით.
5.2 ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის (ინვოისი) წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი.
ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
გ) ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, როდესაც ამის აუცილებლობა წარმოიქმნება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) წერილობითი ფორმით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის წუნის შესახებ.
ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
ბ) მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

გ) შემსყიდველთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, შესაბამისი დაწესებულებებიდან ან სხვა მესამე პირებისგან მიიღოს დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაცია საგზაო მოძრაობის და საგზაო–საპტრანსპორტო შემთხვევების სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ; ასევე, გამოითხოვოს ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებიდან სადაზღვევო ანაზღაურების გასაცემად საჭირო სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაცია.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;
გ) ჯეროვნად, დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს შესყიდვის ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ობიექტის ნაწილის და წუნდების მითითებით.
7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ "იუსტიციის უმაღლესი სკოლის" მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სექტორის უფროსი ნიკოლოზ ბუაჩიძე.

მუხლი 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.2 იმ შემთხვევაში თუ ვადაგადაცილების გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შეიძლება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
9.4 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას და პირობებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული გონივრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტაზე გაფრთხილების გაგზავნა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ან აზრს კარგავს დამატებითი ვადის გამოყენება, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება (გამოიყენება წერილობითი ფორმა ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტაზე გაფრთხილების გაგზავნა).
9.5 ხელშეკრულების შეწყვეტასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
9.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს შემსყიდველის ინიციატივით, თუ მას კანონმდებლობის შესაბამისად, გაუჩნდება ვალდებულება, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით განხორციელებული კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან, დადოს ხელშეკრულება.
9.7 ხელშეკრულება ასევე, შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მოლაპარაკების გზით.
10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ კვირაზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.
11.3 დაუძლეველი ძალის შემთხვევაში მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. სხვა პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.3 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ივნისამდე.

14. სუბროგაციის უფლება

14.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მიმწოდებელზე გადადის სუბროგაციული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც შემსყიდველს გააჩნია ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.
14.2. შემსყიდველი ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს მიმწოდებელს ყველა მასთან არსებული დოკუმენტი ანდა მის ხელთ არსებული ინფორმაცია და ხელი არ შეუშალოს მიმწოდებელს ამ მუხლით განსაზღვრული უფლების რეალიზებაში.
14.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“
ქ.თბილისი, ნ.ბოხუას #19;
ს/კ: 205146493 ტელ: 238 11 61;
ელ-ფოსტა: vtchitchagua@hsoj.ge
სახელმწიფო ხაზინა,
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

დირექტორი
ვანო ბოლქვაძე

„მიმწოდებელი“
სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“
ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. #16;
ს/კ:204568896 ტ: 2640640;
ელ-ფოსტა: insurance@alpha.ge
სს ვითიბი ბანკი (საქართველო)
ბანკის/კოდი: UGEBGE22
ა/ა GE33VT7588888888888888

გენერალური დირექტორი
კახაბერ დიასამიძე

Vano Bolkvadze

Digitally signed by Vano Bolkvadze
DN: cn=Vano Bolkvadze, serialNumber=33001026076, o=Citizen, c=GE
Date: 2019.03.05 10:53:17 +04'00'

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #01/028-19-ის დანართი #1

ქ. თბილისი 05 მარტი 2019 წელი

N	მარკა და მოდელი	სახელმწიფო ნომერი	რაოდენობა	გამოშ. წელი	ღირებულება (ლარი)	სადაზღვევო პერიოდი	სადაზღვევო ტარიფი			
							%-პროცენტულად	თანხა	სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირთა წინაშე	სულ:
1	ავტობუსი TEMSA	MIS 910	1	2007	42078	07.03.2019 დან, 07.05.19-ის ჩათვლით	4.85%	339.99	16	355.99
2	HYUNDAI GETZ	KK702RR	1	2008	14843	07.03.2019 დან, 07.05.19-ის ჩათვლით	4.85%	119.93	16	135.93
3	TOYOTA CAMRY	VIY 131	1	2011	23435.60	07.03.2019 დან, 07.05.19-ის ჩათვლით	4.85%	189.36	16	205.36
4	KIA CERATO	LQL 313	1	2010	11710	07.03.2019 დან, 07.05.19-ის ჩათვლით	4.85%	94.62	16	110.62
5	HYUNDAI ELANTRA	KCK 131	1	2013	9713.90	07.03.2019 დან, 07.05.19-ის ჩათვლით	4.85%	78.49	16	94.49
6	HYUNDAI ELANTRA	CS886SC	1	2014	21267.50	07.03.2019 დან, 07.05.19-ის ჩათვლით	4.85%	171.84	16	187.84
									ჯამი	1090.23

I. ავტომობილის დაზღვევა

1. მიმწოდებელმა/სადაზღვევო კომპანიამ უნდა აანაზღაუროს შემდეგი სადაზღვევო შემთხვევები ნულოვანი ფრანშიზით;

1.2 ავტოსაგზაო შემთხვევა;

1.3 ავტომობილის ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა, გატაცება;

1.4 ხანძარი, აფეთქება, თვითაალება, მეხის დაცემა;

1.5 მესამე პირთა ბოროტგანზრახული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი.

1.6 ავტომობილზე საგნების დაცემა;

1.7 სტიქიური მოვლენები - წყალდიდობა, დიდთოვლობა, გრიგალი, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა და სხვა სტიქიური მოვლენები;

1.8 მინების, სარკეების, ცალკეული დეტალებისა და აქსესუარების ცალკეული დაზიანება ან/და ქურდობა;

1.9 სრული განადგურება;

1.10 მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა - იფარება შემსყიდველის (დამზღვევის) პასუხისმგებლობა აანაზღაუროს მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი. ლიმიტი - 15.000 (თხუთმეტი ათასი) ლარი ერთ დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე.

1.11 ავტომობილის ევაკუაციის ხარჯების ანაზღაურება სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას ამ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ავტოსარემონტომდე სადაზღვევო თანხის ფარგლებში;

1.12 ევაკუაცის ხარჯების ანაზღაურება სადაზღვევო თანხის ფარგლებში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას საჯარიმო სადგომზე სსიპ „112“-ის მიერ ავტომობილის გადაყვანის შემთხვევაში.

2. ფრანშიზით ანაზღაურდება გაჩერებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუდგენელ ვითარებაში დაუდგენელი პირის მიერ დაზიანება. დაუდგენელ ვითარებაში დაუდგენელი პირის მიერ დაზღვეულის ავტომობილის.
3. დაზიანების შემთხვევაში ფრანშიზის მინიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ავტომობილის ღირებულების 1%-ს და ამავე დროს ფრანშიზის მინიმალური ზღვარი არ არის დაწესებული.
4. სრულ ზარალად/განადგურებად განიხილება ავტომობილის დაზიანება რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს, ან განადგურებულია ავტომობილის 70% ან მეტი.
5. სრული ზარალის/განადგურების შემთხვევაში მზღვეველი/მიმწოდებელი ვალდებულია ზარალის ანაზღაურების მიზნით, დამზღვევთან/შემსყიდველთან შეთანხმებით, სადაზღვევო თანხის ფარგლებში ჩაანაცვლოს დაზღვეული ავტომობილი იდენტური მახასიათებლების ავტომობილით.
6. ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯის განსაზღვრისას მზღვეველი დამზღვევთან შეთანხმებით უნდა დაეყრდნოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალიტებით დაკომპლექტებული, ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ავტოსარემონტოს კალკულაციას და ავტომობილის რემონტის/აღდგენის სამუშაოები უნდა განხორციელდეს ამავე ავტოსარემონტოში, რომელიც შეიძლება იყოს არა ლიცენზირებული (არა ცენტრი) ავტოსარემონტო.
7. ავტომობილის რემონტის/აღდგენის სამუშოები უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ უმაღლეს სტრანდარტებს. კომპანია, რომელშიც განხორციელდება სარემონტო სამუშაოები აღჭურვილი უნდა იყოს აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო ყველა ხესაწყოებით, კვალიფიციური სპეციალისტებით და მატერიალურ ტექნიკური ბაზით (სამღებრო სამუშაოების წარმოებისთვის განკუთნილი სპეციალური სივრცით ე.წ. საშრობით, რომელიც უზრუნველყოფს სამღებრო სამუშაოების სტერილურ გარემოში განხორციელებას და საღებავის სწრაფ გაშრობას). ასევე ავტომობილის დაზიანებული ნაწილი უნდა შეიცვალოს მაღალი ხარისხის სათადარიგო ნაწილით;
8. აღდგენილი ავტომობილის შემსყიდველისთვის ჩაბარება უდა განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტით. ჩაბარების დროს გამოვლენილი ნაკლის/არასრულყოფილად შესრულებული სამუშაოების აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს აღმოჩენილი ნაკლის/არასრულყოფილად შესრულებული სამუშაოების გამოსწორება, უმოკლეს ვადაში, მისივე დანახარჯებით.
9. დაზღვეული ავტომობილის მართვის უფლებამოსილება გააჩნია სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის ნებისმიერ თანამშრომელს და სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ დამოუკიდებელი საბჭოს ნებისმიერ წევრს, რომელსაც აქვს მოქმედი მართვის მოწმობა და რომლის ასაკი აღემატება 21 წელს, ასაკის ზედა ზღვარი არ არის შეზღუდული.
10. ზარალის ანაზღაურება მზღვეველის მიერ უნდა მოხდეს ზარალის დარეგულირების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს, 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. ზარალის დარეგულირების აქტის ხელმოწერა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ორგანოებიდან სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღებიდან და ზარალის დაანგარიშებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. ზარალის ანაზღაურებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციას (საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი შესაბამისი დოკუმენტები და სხვა.) მოიპოვებს მზღვეველი/მიმწოდებელი დამზღვევის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. (ასეთის საჭიროების შემთხვევაში). ზარალის ანაზღაურებისთვის საჭირო თანხა უნდა გადაირიცხოს ავტოსარემონტო ორგანიზაციის ანგარიშზე.
11. გამონაკლისი გარემოებები, რომლის დადგომისას არ ხდება ანაზღაურება შესაძლებელია იყოს მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები:

11.1 გაუფასურება; ამორტიზაცია; ცვეთა; მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა ისეთი მიზეზით/ რისკებით, რაც არ არის გამოწვეული დაზღვეული რისკებით;
11.2 დაზღვეული ავტომობილის მძღოლი ავტომობილის მართვისას იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ბრალეულობით მოხდა თუ მესამე მხარის მიზეზით);
11.3 რბოლებში მონაწილეობა, დაზიანება დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდისას (Test Drive, Off Road);
11.4 დაზღვეული ავტომობილი იძებნება და/ან ავტომობილის მახასიათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის (ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი) შესაბამის მახასიათებლებს, რომელებიც დასტურდება სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს მეშვეობით;
11.5 ზარალი გამოწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;
11.6 ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი); შემოჭრით, საომარი მოქმედებით; სამოქალაქო მღელვარებით; ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით.
11.7 ქურდობა/ძარცვით დამდგარი ზარალი, თუ ამ დროს დაზღვეულ ავტომობილში დატოვებულია გასაღები და/ან ღიაა კარი;
11.8 ავტომობილის შეკეთების შედეგად წარმოქმნილი გაუფასურება;
11.9 ნებისმიერი სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით და სხვა სახის ხარჯი, რომელიც გაუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;
11.10 კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებით გამოწვეული ზარალი, თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;

11.11 კონფისკაცია, დაპატიმრება, დაკავება ან სახელმწიფო ორგანოების დავალების შედეგად გამოწვეული დაზიანება/ზარალი;
11.12 საბურავების დაზიანება გახევა, გახვრეტა ან გაჭრა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, შედეგად მოყვა დაზღვეულ რისკებს და ამავდროულად, ასეთი შემთხვევის შედეგად, გარდა საბურავებისა, დაზიანებულია ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილებიც და რომლის გამოც, დამზღვევი/მოსარგებლე უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;
11.13 შუქნიშნის წითელ ნიშანზე მოძრაობა.

12. ავტომანქანის მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

12.1 თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტით, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მესამე პირის გარდაცვალება, ჯანმრთელობის დაზიანება ან/და რაიმე სახის ქონებრივი ზარალი, მზღვეველი ხელშეკრულებაში/სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში აუნაზღაურებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ხარჯებს იმ პირს (მის კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა.
12.2 იფარება დამზღვევის პასუხისმგებლობა, აანაზღაუროს დაზღვეული ავტომანქანით მიყენებული ზიანი იმ ოდენობით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ხელშეკრულებით, სადაზღვევლო თანხის ფარგლებში, თუ ამ დროს ადგილი აქვს:

ა) მესამე პირის გარდაცვალებას ან ჯანმრთელობის დაზიანებას;

ბ) მესამე პირის ქონების დაზიანებას.

12.3 სადაზღვევო თანხის ფარგლებში მიმწოდებელი გადაიხდის დაზარალებულისათვის სამედიცინო დახმარების ხარჯებს შესაბამისი ფინანსური და სამედიცინო დოკუმენტების დედნების საფუძველზე, ზარალის ანაზღაურებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციას (საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი შესაბამისი დოკუმენტები, სამედიცინო დოკუმენტების დედნები ფინანსური დოკუმენტები და სხვა.) მოიპოვებს მზღვეველი/მიმწოდებელი დამზღვევის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

12.4 სადაზღვევო თანხის ფარგლებში ანაზღაურდება აგრეთვე დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად წარმოშობილი სხვა პირების პასუხისმგებლობა, კერძოდ დაზღვეული ავტომობილის მგზავრი უშაუალოდ მგზავრობის ან ავტომობილში ჩაჯდომა-გადმოსვლის დროს;

12.5 სადაზღვევო თანხის ფარგლებში ანაზღაურდება თანხა რომლის გადახდაზეც დამზღვევი, მზღვეველი, მოსარგებლე და დაზარალებული (მესამე პირი) მოილაპარაკებენ სასამართლოს გარეშე;
12.6 სადაზღვევო თანხის ფარგლებში ანაზღაურდება თანხა რომელიც დაზღვეულს დაეკისრა მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.
12.7 თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდა რამდენიმე პირი, ხოლო დაზღვეულზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობამ გადააჭარბა პოლისში მითითებულ ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში).

13. ავტომანქანის მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევასთან დაკავშირებული გამონაკლისები:

13.1 ზარალი მიადგა დაზღვეულის ქონებას

13.2 ზარალი მიადგა მესამე პირის ქონებას, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპირტირება დაზღვეული ავტომობილით; ქონებას რომელიც იმყოფებოდა დაზღვეულის მეთვალყურეობის ქვეშ.

13.3 ნებისმიერი სახის მორალური ზიანი

სხვა პირობები:

- უზრუნველყოს 24 საათიანი ავტო - ასისტანტის მომსახურება, რაც გულისხმობს შემდეგი მომსახურებებით უსასყიდლოდ სარგებლობას: საბურავის შეცვლის სამუშაოები მხოლოდ დაზღვეულის სათადარიგო საბურავით, საწვავის მიწოდება და ავტოტრანსპორტის დაქოქვა. აღნიშნული მომსახურებების ტერიტორიული არეალია თბილისი და თბილისიდან 20 კმ. დაშორებით.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #01/028-19-ის დანართი #2

ქ. თბილისი 05 მარტი 2019 წელი

სადაზღვევო პირობები

ტერმინთა განმარტებები

- დამზღვევი - პირი, რომელმაც გააფორმა დაზღვევის ხელშეკრულება "მზღვეველთან";
- მზღვეველი - სს "სადაზღვევო კომპანია ალფა";
- მოსარგებლე - პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე;
- სადაზღვევო პოლისი - დაზღვევის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც დამზღვევს/მოსარგებლეს უფლებას აძლევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება;
- სადაზღვევო პერიოდი - დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია პოლისში (დაწყების და დასრულების თარიღების ჩათვლით);
- სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ლიმიტი, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში;
- ფრანშიზა - ზარალის თანხის ნაწილი, რომელიც მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება; გაჩერებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუდგენელ ვითარებაში დაუდგენელი პირის მიერ დაზიანების შემთხვევაში ფრანშიზა – ავტომობილის ღირებულების 1%, ამავე დროს ფრანშიზის მინიმალური ზღვარი არ არის დაწესებული.
- ტერიტორიული არეალი - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი;
- სადაზღვევო შემთხვევა – წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის შედეგადაც დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი, დაზღვეული რისკის დადგომის შედეგად დამდგარი ზარალი;
- უფლებამოსილი მძღოლი - დამზღვევის ნებისმიერი თანამშრომელი და სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის" დამოუკიდებელი საბჭოს ნებისმიერ წევრი, რომელსაც აქვს მოქმედი მართვის მოწმობა და რომლის ასაკი აღემატება 21 წელს, ასაკის ზედა ზღვარი არ არის შეზღუდული.
- სრული ზარალი - სრულ ზარალად/განადგურებად განიხილება ავტომობილის დაზიანება რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს, ან განადგურებულია ავტომობილის 70% ან მეტი.

მუხლი 1 ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა

1.1. ავტოკასკო:

ავტომობილის დაზღვევა ითვალისწინებს ავტომობილის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანება/განადგურებას, რომელიც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

- ავტოსაგზაო შემთხვევა;
- ავტომობილის ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა, გატაცება;
- ხანძარი, აფეთქება, თვითაალება, მეხის დაცემა;
- მესამე პირთა ბოროტგანზრახული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი.
- ავტომობილზე საგნების დაცემა;
- სტიქიური მოვლენები - წყალდიდობა, დიდთოვლობა, გრიგალი, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა და სხვა სტიქიური მოვლენები;
- მინების, სარკეების, ცალკეული დეტალებისა და აქსესუარების ცალკეული დაზიანება ან/და ქურდობა;
- სრული განადგურება;
- ავტომობილის ევაკუაცია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ამ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ავტოსარემონტომდე;
- 24 საათიანი ავტოასისტანსი

ასისტანტის მომსახურება გულისხმობს შემდეგი მომსახურებებით უსასყიდლოდ სარგებლობას:

- საბურავის შეცვლის სამუშაოები მხოლოდ დაზღვეულის სათადარიგო საბურავით, საწვავის მიწოდება და ავტოტრანსპორტის დაქოქვა. აღნიშნული მომსახურებების ტერიტორიული არეალია თბილისი და თბილისიდან 20 კმ. დაშორებით.

1.2. სადაზღვევო ანაზღაურება:

ა) ნაწილობრივი ზიანისას – ავტომობილის აღდგენის ღირებულებას გამოკლებული პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის ოდენობა. ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯის განსაზღვრისას მზღვეველი უნდა დაეყრდნოს არა ლიცენზირებული (არა ცენტრი) სარემონტოს კალკულაციას და ავტომობილის რემონტის/აღდგენის სამუშაოები უნდა განხორციელდეს არა ლიცენზირებულ (არა ცენტრ) სარემონტოში მიერ. ზარალის ანაზღაურებისთვის საჭირო თანხა უნდა გადაირიცხოს ავტოსარემონტო ორგანიზაციის ანგარიშზე.

1.2.1. სრული ზარალის/განადგურების შემთხვევაში მზღვეველი/მიმწოდებელი ვალდებულია ზარალის ანაზღაურების მიზნით, ჩაანაცვლოს დაზღვეული ავტომობილი, იდენტური სპეციფიკაციების მქონე სხვა ავტომობილით, ზარალის მომენტისთვის დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს სადაზღვევო თანხისა.

1.2.2. სრული და/ან ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდგომ, შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადასცეს განადგურებული ავტომანქანა (იმ შემთხვევაშიც, თუ მოხდა გატაცებული ავტომანქანის პოვნა) / შეცვლილი ნაწილები მზღვეველს საკუთრების უფლებით.
1.2.3. ავტოსატრანსპორტო საშუალების შემსყიდველის მიერ გასხვისების შემთხვევაში შესაბამისი თანხით უნდა შემცირდეს სადაზღვევო პრემია. სატრანსპორტო საშუალებების გასხვისებას შემსყიდველი სადაზღვევო კომპანიას შეატყობინებს გასხვისებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღით. დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო ხელშეკრულებიდან ამოღება და შესაბამისი თანხით სადაზღვევო პრემიის შემცირება უნდა მოხდეს გასხვისების დღიდან.

მუხლი 2. ავტომანქანის მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL)

2.1 თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტით, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მესამე პირის გარდაცვალება, ჯანმრთელობის დაზიანება ან/და რაიმე სახის ქონებრივი ზარალი, მზღვეველი ხელშეკრულებაში/სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში აუნაზღაურებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ხარჯებს იმ პირს (მის კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა. ლიმიტი - 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი ერთ დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე.
2.2 ამ დაზღვევით იფარება დამზღვევის პასუხისმგებლობა, აანაზღაუროს დაზღვეული ავტომანქანით მიყენებული ზიანი იმ ოდენობით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ხელშეკრულებით/პოლისით, თუ ამ დროს ადგილი აქვს:

ა) მესამე პირის გარდაცვალებას ან ჯანმრთელობის დაზიანებას;
ბ) მესამე პირის ქონების დაზიანებას.

2.3 სადაზღვევო თანხის ფარგლებში მიმწოდებელი გადაიხდის დაზარალებულისათვის სამედიცინო დახმარების ხარჯებს შესაბამისი ფინანსური და სამედიცინო დოკუმენტების დედნების საფუძველზე, ზარალის ანაზღაურებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციას (საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი შესაბამისი დოკუმენტები, სამედიცინო დოკუმენტების დედნები ფინანსური დოკუმენტები და სხვა.) მოიპოვებს მზღვეველი/მიმწოდებელი დამზღვევის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).
2.4 სადაზღვევო თანხის ფარგლებში ანაზღაურდება აგრეთვე დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად წარმოშობილი სხვა პირების პასუხისმგებლობა, კერძოდ დაზღვეული ავტომობილის მგზავრი უშაუალოდ მგზავრობის ან ავტომობილში ჩაჯდომა-გადმოსვლის დროს;
2.5 სადაზღვევო თანხის ფარგლებში ანაზღაურდება თანხა რომლის გადახდაზეც დამზღვევი, მზღვეველი, მოსარგებლე და დაზარალებული (მესამე პირი) მოილაპარაკებენ სასამართლოს გარეშე;
2.6 თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდა რამდენიმე პირი, ხოლო დაზღვეულზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობამ გადააჭარბა პოლისში მითითებულ ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორციულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში).
2.7 მზღვეველი უფლებამოსილია, ანაზღაურების გაცემისთვის მოითხოვოს დამზღვევისგან მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება.

2.2 ავტომანქანის მფლობელის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევასთან დაკავშირებული გამონაკლისები:

2.2.1 ზარალი მიადგა დაზღვეულის ქონებას;
2.2.2 ზარალი მიადგა მესამე პირის ქონებას, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპირტირება დაზღვეული ავტომობილით; ქონებას რომელიც იმყოფებოდა დაზღვეულის მეთვალყურეობის ქვეშ;
2.2.3 ნებისმიერი სახის მორალური ზიანი.

მუხლი 3. მხარეთა ურთიერთობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

3.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას:
3.1.1. დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „მზღვეველს“ საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზზე (2 640 640) და მიაწოდოს სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
ბ) საპატრულო პოლიციის (112) დაუყოვნებლივ გამოძახება;
გ) არ დაძრას ავტომანქანა შემთხვევის ადგილიდან საპატრულო პოლიციის მისვლამდე, რათა შენარჩუნებული იქნას შემთხვევის პირვანდელი სახე;
ე) არაუგვიანეს 48 (ორმოცდარვა) სამუშაო საათისა, წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით.
ვ) შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:
1) ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობა;
2) შემთხვევის დადგომის დროს საჭესთან მჯდომი პირის მართვის და პირადობის მოწმობები;
ზარალის ანაზღაურებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციას (საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი შესაბამისი დოკუმენტები და სხვა.) მოიპოვებს მზღვეველი/მიმწოდებელი დამზღვევის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას მზღვეველი უფელბამოსილია უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.
3.1.4. მზღვეველი უფლებამოსილია:

ა) თავად დაათვალიეროს დაზიანებული ავტომანქანა; დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერების მიზნით მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტი; ზიანის გამომწვევი მიზეზების დასადგენად დამზღვევისაგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.
ბ) დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერების, მიყენებული ზიანის ოდენობის, დაზიანებული ავტომანქანის შეკეთების და აღდგენითი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტი ან/და დანიშნოს ექსპერტიზა.
გ) დამზღვევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია გადადოს სადაზღვევო ანზღაურების გაცემა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.
დ) აუცილებლობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევისაგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.
3.1.5 სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა მოხდება მზღვეველისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან და ზარალის ანაზღაურების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. ავტომანქანის ქურდობის, ძარცვის და/ან ყაჩაღობის შემთხვევაში, თუ ავტომანქანა არ იქნა აღმოჩენილი პოლიციაში განცხადების მომენტიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას ასეთი ვადის გასვლიდან და ზარალის ანაზღაურების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. საერთო გამონაკლისები

ამ მუხლში გათვალისიწინებული გამონაკლისები (გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ იქნება გადახდილი) ეხება დაზღვევის მთელს ხელშეკრულებას (ხელშეკრულებას, პირობებს და პოლისს).
4.1. გამონაკლისი გარემოებები, რომლის დადგომისას არ ხდება ანაზღაურება შესაძლებელია იყოს მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები:
4.1 გაუფასურება; ამორტიზაცია; ცვეთა; მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა ისეთი მიზეზით/ რისკებით, რაც არ არის გამოწვეული დაზღვეული რისკებით;
4.2 დაზღვეული ავტომობილის მძღოლი ავტომობილის მართვისას იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ბრალეულობით მოხდა თუ მესამე მხარის მიზეზით);
4.3 რბოლებში მონაწილეობა, დაზიანება დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდისას (Test Drive, Off Road);
4.4 დაზღვეული ავტომობილი იძებნება და/ან ავტომობილის მახასიათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის (ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი) შესაბამის მახასიათებლებს, რომელებიც დასტურდება სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს მეშვეობით;
4.5 ზარალი გამოწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;
4.6 ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი); შემოჭრით, საომარი მოქმედებით; სამოქალაქო მღელვარებით; ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით.
4.7 ქურდობა/ძარცვით დამდგარი ზარალი, თუ ამ დროს დაზღვეულ ავტომობილში დატოვებულია გასაღები და/ან ღიაა კარი;
4.8 ავტომობილის შეკეთების შედეგად წარმოქმნილი გაუფასურება;
4.9 ნებისმიერი სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით და სხვა სახის ხარჯი, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;
4.10 კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებით გამოწვეული ზარალი, თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;
4.11 კონფისკაცია, დაპატიმრება, დაკავება ან სახელმწიფო ორგანოების დავალების შედეგად გამოწვეული დაზიანება/ ზარალი;
4.12 საბურავების დაზიანება გახევა, გახვრეტა ან გაჭრა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, შედეგად მოყვა დაზღვეულ რისკებს და ამავდროულად, ასეთი შემთხვევის შედეგად, გარდა საბურავებისა, დაზიანებულია ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილებიც და რომლის გამოც, დამზღვევი/მოსარგებლე უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;
4.12 შუქნიშნის წითელ ნიშანზე მოძრაობა.